



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030409754459317

№ 04-814/ო

10 / ნოემბერი / 2017 წ.

„შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 20 დეკემბრის N04-491/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსის, მ. ბეზარაშვილის 2017 წლის 11 ოქტომბრის N04-21959 მოხსენებითი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 20 დეკემბრის N04-491/ო ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის პირობები“ (დანართი N2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (ემს) მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 8 აგვისტოს N04-544/ო ბრძანება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი

ზაზა სოფრომაძე

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის პირობები

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ხელშეკრულების პირობებს. სისტემაში რეგისტრაციის დასრულება შესაძლებელია მათზე თანხმობის გაცხადების შემდეგ.

1. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – სისტემა) რეგისტრაცია შეუძლია საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირს, სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს, საქართველოში კანონიერ საფუძველზე მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელთაც აქვთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მინიჭებული თერთმეტნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი (პირადი ნომერი).
2. სისტემაში რეგისტრაციის მიზნით, რეგისტრაციის მსურველი პირი გამოხატავს თანხმობას, მის შესახებ პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის მისამართი, დამსაქმებლის შემთხვევაში, დამატებით - დამსაქმებლის საიდენტიფიკაციო კოდის და პასუხისმგებელი პირის მონაცემები) გადამოწმდეს/შედარდეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ – შემოსავლების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროში (საზღვრის კვეთა) არსებულ მონაცემთა ერთიან ბაზებთან.
3. სისტემაში რეგისტრაცია ადასტურებს პირის ნებას, სისტემაში ატვირთული მონაცემები, პერსონალური ინფორმაციის დაცვის გარანტიით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დამუშავდეს სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებისათვის, ასევე, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით: ვებ-გვერდის მართვისთვის, სპეციალური შეთავაზების გასაკეთებლად ან ინფორმაციის მისაწოდებლად.
4. შრომითი ქმედუნარიანობის ასაკის (16 წელი) არმქონე პირი, სისტემაში რეგისტრაციის შემთხვევაში, ისარგებლებს არასრული სერვისებით.
5. შრომითი ქმედუნარიანობის ასაკის არმქონე პირს სრული სერვისების გამოყენება შეეძლება მხოლოდ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობის წარდგენის შემდეგ.
6. სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, პირის უშუალო ნების გამოვლენის საფუძველზე.
7. სისტემაში რეგისტრაცია უფასოა.
8. სისტემაში რეგისტრაცია უვადოა. სისტემაში რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს რეგისტრაცია.
9. მომხმარებელს შეუძლია წაშალოს მის პროფილზე არსებული ინფორმაცია (გააუქმოს რეგისტრაცია). თუმცა, აღნიშნულ მომენტამდე გაწეული მომსახურების შესახებ

არსებული ინფორმაცია ინახება, პერსონალური მონაცემების გამოკლებით, სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებისათვის.

10. რეგისტრირებული პირი თავად ირჩევს აუთენტიფიკაციის ვარიანტს (საკუთარ გვერდზე - პროფილზე განთავსებული ინფორმაციის დაცვის საშუალებას) – IDCard ან მომხმარებლის სახელი და პაროლი ან პირადი ნომერი და პაროლი).
11. აუთენტიფიკაციის ვარიანტის – მომხმარებლის სახელი და პაროლი, არჩევის შემთხვევაში, მომხმარებლის სახელი უნდა იყოს პირის ელექტრონული ფოსტის (e-mail) მისამართი.
12. სისტემაში რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მართოს საკუთარი პროფილის მდგომარეობა – გაააქტიუროს, გახადოს პასიური, განახორციელოს რედაქტირება აუთენტიფიკაციის გამოყენებით.
13. დაუშვებელია აუთენტიფიკაციის მონაცემის მესამე პირისათვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო იხსნის პასუხისმგებლობას პირადი ინფორმაციის დაცვის ვალდებულებაზე.
13.1 დაუშვებელია სისტემით მოპოვებული ინფორმაციის გაყიდვა, გაშარჟება, გასაჯაროება, გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, ასევე პოლიტიკური რელიგიური და დისკრიმინაციული მიზნებისათვის გამოყენება.
14. სისტემაში ერთხელ რეგისტრირებული მომხმარებელი ვეღარ შეძლებს განმეორებით რეგისტრაციის გავლას, წინა რეგისტრაციის შეწყვეტის გარეშე.
15. სისტემაში რეგისტრირებული პირი თავად ირჩევს სასურველ როლს პროფილის შესაქმნელად.
16. ერთსა და იმავე პირს ერთ როლზე შეუძლია შექმნას მხოლოდ ერთი პროფილი.
17. ერთსა და იმავე პირს შეუძლია შეცვალოს და/ან დაიმატოს როლი.
18. პირის პირადი ნომრის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. მსგავსი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, პირმა პირადად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს გაყალბებული რეგისტრაციის შეწყვეტის მიზნით.
19. საკუთარ პროფილში განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სისტემაში რეგისტრირებულ შესაბამის პირს.
20. სისტემაში რეგისტრირებული პირი თვითონ განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების სხვა მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომობას.
21. შეუძლებელია, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია: პირადი ნომერი, რეგისტრაციის მისამართი, თვითშეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, ოჯახის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა გახდეს საჯარო სისტემის მეშვეობით, სისტემის სხვა მომხმარებლისათვის.
22. პროფილში – საკუთარ გვერდზე ინფორმაციის განთავსების დონეების მიხედვით, განსხვავდება სისტემით სარგებლობის შესაძლებლობები.

23. იმ შემთხვევაში თუ მიეკუთვნებით რომელიმე მოწყვლად ჯგუფს (შშმპ, სსმპ, დევნილი, სოციალური დახმარების მიმღები, მიგრანტი და სხვა) შესაბამის გრაფაში შეგიძლიათ მონიშნოთ აღნიშნული სტატუსის შესაბამისი ველი.
24. სისტემაში რეგისტრირებული პირი პროფილში არსებული ველების (ტელეფონის ნომრი/ელექტრონული ფოსტის მისამართი) შევსებით და „დასრულება“ ღილაკზე დაჭერით თანხმობას აცხადებს ინფორმაციის მიღებაზე სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების შესახებ.
25. სისტემაში რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციის მიღებაზე სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების შესახებ: დასრულებულ პროფილში არსებული „რედაქტირების“/“დასრულების“ ღილაკის საშუალებით. კერძოდ პროფილში დაარედაქტიროს/წაშალოს არსებული მონაცემები (ტელეფონის ნომრი/ელექტრონული ფოსტის მისამართი) და დააფიქსიროს „დასრულება“ ღილაკზე დაჭერით ან იმავე ფორმით რა ფორმითაც ხორციელდება ინფორმაციის მიღება კერძოდ SMS OFF-ის სერვისის გამოყენების საშუალებით.
26. სისტემაში რეგისტრაციიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მომხმარებლის უმოქმედობის შემთხვევაში, პირის პროფილი, პირადი გვერდი ხდება პასიური და არ მონაწილეობს სისტემის პროცესებში.
27. სააგენტო ვალდებულია, პროფილის პასიურობის შესახებ აცნობოს რეგისტრირებულ პირს მის მიერ არჩეული ფორმით (ტელეფონით, SMS, e-mail, წერილობით და სხვ.).
28. სააგენტო ვალდებულია, რეგისტრაციის მსურველი პირისათვის, სისტემის საშუალებით, ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო გახადოს სისტემაში რეგისტრაციასთან და/ან სისტემის მოხმარებასთან დაკავშირებული პირობები.
29. სააგენტო ვალდებულია, გასაჯაროებისგან დაიცვას სისტემაში რეგისტრირებული პირის პირადი გვერდის–პროფილის ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომლის გასაჯაროებაც რეგისტრირებულმა პირმა მისცა ინფორმირებული და ნებაყოფლობითი თანხმობა.
30. სააგენტო უფლებამოსილია შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, რეგისტრაციის წესი ნებისმიერ დროს, რაც საჯარო გაცნობის მიზნით განთავდება worknet.gov.ge -ზე, ssa.gov.ge -ზე, რაც ჩაითვლება ინფორმაციის ოფიციალურ შეტყობინებად.
31. სისტემაში რეგისტრაცია შეიძლება შეწყდეს:
 - 31.1 დადასტურებული ინფორმაციის მიღების საფუძველზე, რომელიც უკავშირდება სისტემაში რეგისტრირებული პირის მიერ სისტემაში არასწორი/ყალბი ინფორმაციის განთავსებას. დადასტურებულ ინფორმაციად მიიჩნევა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამისი ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან მიღებული წერილობითი დოკუმენტი.
 - 31.2 სისტემაში რეგისტრირებული პირის მიერ სისტემაში განთავსებულია დისკრიმინაციული, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი ინფორმაცია.

31.3 სისტემაში რეგისტრირებული პირის მიერ სისტემაში რეგისტრაციასთან და/ან სისტემის მოხმარებასთან დაკავშირებული პირობების დარღვევა.

31.4 კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

32. ღილაკზე - „რეგისტრაცია“ დაჭერისა და სისტემის მიერ დადასტურების შემდეგ, პირი ითვლება რეგისტრირებულად. რეგისტრირებული პირი ეთანხმება სისტემის გამოყენების პირობებს, ასევე ყველა იმ მომსახურების პირობას, რომლის მიღებაც შესაძლებელია პორტალის მეშვეობით.

33. ხელშეკრულება ძალაშია პირის მიერ რეგისტრაციის დასრულების მომენტიდან. ცვლილების/ცვლილებების შემთხვევაში ძალა ექნება მას შემდეგ, რაც ის განთავსდება ვებგვერდზე.